წელიწადი—მეორე | ფასი 7 კაპ. | ხუთშაბათი, 22 ენკენისთვე 1916 წ. | № 210

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] კაპ., [illegible] 10 კ., [illegible] ლებულ განცხადებებში [illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი: უფასოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პროვინციაში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხარიტონ შანშიაშვილი



გიორგი ვასილის ძე და ელისაბედ ალექსანდრეს ასული სარაჯიშვილები ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც ჩვენს დაუვიწყარს მამის

ვასილ ალექსანდრეს ძე
სარაჯიშვილის

ძვირფას ხსოვნას პატივი სცა.
(1—342—1)

სასცენო სტუდია
ა. ნ. ვორონოვის
ხელმძღვანელობით.
მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენაზე
ასწავლიან შემდეგ საგნებს:
ბაუერ-ზაქსი—პლასტიკას.
ვორონოვი—დიქცია-დეკლამაციას და სასცენო ვარჯიშობას.
ელპის-ზარაფიდი—გიმნასტიკას.
პეტროკოვსკი-გრიმსა და ტანთსაცმელს (კოსტიუმს), ისტორიას.
რატოვი—მიმოდრამას.
რობაქიძე—ესთეთიკას.
ახმეტელი—თეატრის ისტორიას.
მეცადინეობა უკვე დაიწყო. მოწაფეთა მიღება გრძელდება. ცნობების გაგება შეუძლიანთ ყოველ-დღე 12—1 საათზე დილით და საღამოთი 3½—4½ ს, ნიკოლოზის ქ. 64, ბინა ვორონოვისა.
(თ.—254—2)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
ხიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე | ჩაი
სადილები | ყავა
ვახშმები | ხაჭაპური, პიროჟკიბი
ადგილობრივი და უცხოური ხამელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

სავალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალი მოდის საქონელი
(101—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იყიდება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)





„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგ[ა]დ ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—5) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣли), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს
ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე დებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სად. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი
ვ. გ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ვოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე


## საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

ამ თვის ოცში (ხ ა) წელიწადი შესრულდა რაც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა. ამ მოკლე ხანში საზოგადოებამ დიდმნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. არა თუ ხელი შეუწყო გონებრივი ინტერესის გაღვიძებას ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი, არამედ დიდძალი მასალაც შეაგროვა ამ წარსულის შესასწავლად. დღეს საზოგადოებას უკვე ძვირფასი მუზეუმი და მდიდარი წიგნთ საცავი აქვს: ამ მუზეუმ-წიგნთსაცავში თავმოყრილია რამოდენიმე ათასი ხელნაწერი, სიგელგუჯარი, ანტიკვარული და ეთნოგრაფიული ნივთი, მხატვრული სურათი, ფრესკის ასლი და სხ.. ამასგარდა საზოგადოებამ გამოსცა რამოდენიმე სამეცნიერო კრებული „ძველი საქართველო“-სა და „საქართველოს სიძველეთა“ სახელით.

ეს ნაყოფი საზოგადოების ხანმოკლე მოღვაწეობისა მით უფრო ძვირფასია, რომ საქმის სულის ჩამდგმელთ და მეთაურთ პირველად მეტის მეტად შეუფერებელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა: საზოგადოება დაარსდა კერძო ინიციატივითა და დახმარებით, მას არ გააჩნდა არც ოფიციალი სახე, არც ფართო თანხა. განათლებული ქართველი საზოგადოება სკეპტიკური გულგრილობით უცქეროდა ისტორიულს ნაშთებს, ხალხი კი უგუნური ცრუმორწმუნოებით ან კიდევ ბარბაროსული უდიერობით. ჩვენი ტერიტორიის ზედაპირზე იშლებოდა ჩვენივე ისტორიული სახე წარსულ თაობათა მიერ მძლავრად აღბეჭდილი. და არავინ იყო, რომ დაღუპვას გადაერჩინა საუცხოვო ძეგლები ერთდროინდელი მოკრძალებისა, აღფრთოვანებისა და რუდუნებისა.

არ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საფრთხე თავიდან აცილებული იყოს, რომ ჩვენი სამშობლოს ისტორიული ნაშთები საბოლოოდ მოვლილი იყოს და უზრუნველ-ყოფილი სტიქიონისა და ადამიანის ძალმომრეობისაგან. ბევრი რამ დაიღუპა სამუდამოდ. წვიმამ ჩამორეცხა საუკეთესო ფრესკები, სინესტემ დაალპო უბადლო ეტრატები და ხელნაწერი წიგნები, ნიაღვარმა დაანგრია და ქარმა გაჰფანტა ნივთიერი საბუთები ქართული ისტორიისა. ბევრი რამ უცხოეთში გაიზიდა. დარჩა უმცირესი ნაწილი და ესეც ჩვენ თვალ წინ ნიავდება სიღარიბისა და შეუგნებლობის გამო. თანამედროვე ქართველობას სამწუხაროდ არ ესმის ისტორიული ღირებულება ნაშთებისა. ეს მარტო ბნელ მასაზე როდი ითქმის. ძლიერ დამახასიათებელია, რომ გაუნათლებელ ხალხში ერთგვარი უანგარიშო მისტიური შიში მაინც არსებობს ძველი ეკლესიებისა, ციხეებისა და ხატების წინაშე, ნახევრად განათლებული ელემენტები კი ხშირად მხოლოდ ცინიზმს იჩენენ ძეგლებისა და ნაშთების მიმართ. სვანი გლეხები თავიანთ საყდრებში ხატებს ჯაჭვებით აბამენ, რადგან ეშინიათ, რომ არ გაიქცნენო, ლეჩხუმში კი სამრევლო სკოლის მასწავლებლები ოყურეშის ეკლესიას სცარცვავენ და მოჭედილ ხატებს იტაცებენ. ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი შეგნებულმა ან შეუგნებელმა ისტორიულმა ნიჰილიზმმა მოიცო და ამ ნიჰილიზმს შეეწირა ისეთი ძვირფასი ისტორიული ნივთები, როგორიც თამარ მეფის ქოშები და გიორგი მეფის სახელმწიფო ბეჭედი იყო გელათის მონასტერში (ამ უკანასკნელს შეცდომით დავით აღმაშენებლის თითის ბეჭდათ სთვლიდნენ).

დიდი სიყვარული და თავგამოდება გამოიჩინეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეთაურებმა ზემოხსენებულ დუხჭირ პირობებში. ყველაზე ძნელია საქმის დასაწყისი, ნათქვამია: ეს უძნელესი დაბრკოლება უკვე ძლეულია დღეს. სარაჯიშვილთა სულგრძელი ანდერძის წყალობით, საზოგადოებას უფრო ფართე სარბიელი ეხსნება მომავალში. მისი ქონებრივი რესურსები საგრძნობლად იმატებს და მას შეეძლება მეტი გამოიღოს როგორც თავისი საგამომცემლო ისე თავისი შემგროვებელი მუშაობის გასაძლიერებლად. ჩვენ გვგონია რომ განსაკუთრებული ყურადღება ამ უკანასკნელ მხარეს უნდა მიექცეს. ზოგიერთი ჩვენი ხელნაწერი—სინას მთაზე, იერუსალიმს, მთაწმინდაზე და თვით საქართველოში გაბნეული, უნიკუმს წარმოადგენს, ე. ი. უცალო ერთეულს, და მათი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა. სადაც ამ ხელნაწერთა ორიგინალის შეძენა არ ხერხდება, საჭიროა მათი ფოტოგრაფიულად გადაღება, აგრეთვე ხატებისა, სურათებისა, შენობებისა და ნივთებისა, რომლის გადმოზიდვა არ შეიძლება ტეხნიკური ან სხვა პირობების გამო. რაც შეეხება ფრესკებს ანუ კედლის მხატვრობას, რითაც ჩვენი სამშობლო ასე მდიდარია, ორი გზა არსებობს მის შესანარჩუნებლად: ერთია ორიგინალის პირდაპირ გადმოტანა, მეორე ასლის აღება. პირველს ბევრი უპირატესობა აქვს, მაგრამ დიდს ხარჯსა და სიფრთხილეს მოითხოვს, მეორე უფრო იაფი და ადვილი შესასრულებელია. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჯერჯერობით მხოლოდ ფრესკების ასლებს უკეთებს ძალაუნებურად. მაგრამ რაც ამ მხრივ კეთდება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: საზოგადოების მუზეუმში უკვე შეგროვილია მთელი წყება კეთილსინდისიერად შესრულებული ასლებისა, მიმდინარე წელსაც ამ სერიას გამდიდრება მოელის.

ვ. ლელიანი.

## ქართული პრესა

ბ-ნი ვასილ წერეთელი „სახალხო ფურცლის“ იმ წერილის გამო, სადაც რუსის ლიბერალების დოქტრინიორობაზე იყო ლაპარაკი, გაზეთ „სამშობლოში“ სწერს:

„რაც შეეხება რუევსკის, ის რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ტიპიური გამომხატველია. ის ამბობს: 1890 წლის ეროზის ტიპის კანონპროექტი, რომელიც მეფისნაცვლის მიერ მოწვეულმა კრებამ მოითხოვა, ჩვენს კანონპროექტზე უარესია; ამიტომ, თუმცა ჩვენი პროექტი სახელმწიფო საბჭოს მიერ უარყოფილი იქნება, თქვენი მაინც უნდა დავიწუნოთ, რადგან მისი მოწონება ჩვენი დოქტრინის შეურაცხყოფა იქნებოდაო.

მაშასადამე, ის გვეუბნება: დეე, გაფუჭდეს საქმე, ოღონდ შებღალული ნუ იქნება დოქტრინა, მცნებაო. და ცხადია, ამგვარ ტაქტიკას არაფერი არ აქვს საერთო იმასთან, რასაც მიხაილოვსკი ჰქადაგებდა.

მაგრამ თუ ასეთები არიან კადეტები, შრომის ჯგუფი და სოციალ-დემოკრატები ხომ კიდევ უფრო უკიდურესები არიან! კარლო ჩხეიძემ, როგორც რუსის სოციალდემოკრატიული პარტიის წევრმა, პირდაპირ განაცხადა, 1890 წლის ტიპის ეროზას მხარს არ დაუჭერო. განსვენებული ვარლამ გელოვანი კი გვეუბნებოდა: შრომის ჯგუფის წევრობა ხელს მიშლის სათათბიროს განსახორციელებელი კანონ-პროექტი წარვუდგინო და, კიდევაც რომ ვინმემ ასეთი კანონ-პროექტი წარადგინოს, მე, როგორც უკიდურესი მემარცხენე, იძულებული ვიქნები კენჭის ყრაში ან სულ არ გავერიო, ან პროექტს შავი კენჭი მივსცეო. რასაკვირველია, ვიდრე შრომის ჯგუფში იქნებოდა, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა!

ახლა ვკითხავ პატივცემულ „სახალხო ფურცელს“: თუ სახელმწიფო სათათბიროში კვლავ ფედერალისტი იქმნა დეპუტატად, სად უნდა დაჯდეს? შრომის ჯგუფში? მაგრამ მაშინ ხომ მან თავისი სამშობლოს ინტერესები დოქტრინას უნდა ანაცვალოს.

ცხადია, რომ, თუ „სახალხოს“ კადეტების დოქტრინიორობა არ მოსწონს, „შრომის ჯგუფის“ დოქტრინიორობაც და, მაშასადამე, თავისი დეპუტატის „შრომის ჯგუფის“ წევრობაც უნდა უარჰყოს.

მაგრამ მაშინ ხომ თვითონაც ხელი უნდა აიღოს დოქტრინიორობაზე და უნდა გაიზიაროს ის ფხიზელი, რეალური პოლიტიკა, რომელსაც „საქართველო“ და „სამშობლო“ ატარებენ, ერთი სიტყვით ორში ერთი გზა უნდა აირჩიოს: ან უტოპიური, დოქტრინიორული, საოცნებო, ან სწორი, რეალური, ოპორტუნისტური.

ორპირი ტაქტიკა კი, როგორც თავისებურობის უარმყოფელი, ყოვლად შეუწყნარებელია.

დროა, დაგვანახოთ, ბატონებო, ნამდვილი თქვენი სახე!

## ახალი მინისტრის დანიშვნის გარშემო

შინაგან საქმეთა მინისტრის ხვოსტოვის გადაყენებამ და მის ადგილზე პროტოპოპოვის დანიშვნამ რუსული პრესა აახმაურა. „რუსკია ვედომოსტი“-მა პროტოპოპოვს მეტად საყურადღებო მოწინავე წერილი უძღვნა. კადეტების გაზეთი ამ გვარად ახასიათებს ახალი მინისტრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წარსულს:

„პროტოპოპოვი იყო არჩეული სათათბიროში „ოქტიაბრისტთა“ პარტიის სახელით; თვით სათათბიროში იგი აირჩიეს თავმჯდომარის ამხანაგად, მაგრამ თავი მაინც და მაინც არაფრით გამოუჩენია; სამაგიეროდ მან სახელი გაითქვა სათათბიროს გარეშე მოღვაწეობით; იგი ახერხებდა ერთ და იმავე დროს ორი დიდი საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლობა; როგორც დიდი მემამულე, იგი თავად-აზნაურობის წინამძღოლი იყო თავის გუბერნიაში (სიმბირსკში) და ამავე დროს, როგორც დიდი ფაბრიკანტი, იგი გამოჩენილ როლს თამაშობდა სავაჭრო-სამრეწველო წრეებში; ამ მხრივ პროტოპოპოვი თითქოს ცოცხალი სიმბოლოა მემამულეთა და მრეწველთა შესაძლებელ კავშირისა. წმინდა პოლიტიკურ საქმეებში პროტოპოპოვმა მიიპყრო საზოგადოების ყურადღება მაშინ, როდესაც სათათბიროს დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა საზღვარ გარედ და იქიდან დაბრუნებისას სტოკჰოლმში თავის შვედელ მეგობართა დახმარებით ბაასი გამართა გერმანეთის საელჩოს წევრთან; ამ ამბავმა თავის დროს დიდი მღელვარება გამოიწვია სათათბიროში და კერძო თათბირიც შესდგა ამის გამო; პროტოპოპმა თავი იმით იმართლა, რომ მე მხოლოდ მოვისმინე გერმანელ დიპლომატის სიტყვა და თუ რაიმე ვუთხარი, ისიც ისტორიული ხასიათის შესწორება იყოო.

ამ ბოლო დროს პროტოპოპოვმა აალაპარაკა ყველა მით, რომ მან ახალი დიდი პოლიტიკური გაზეთის გამოცემა იკისრა, რომლისათვის მრეწველნი და ბანკირები ხუთის მილიონის გაღებას დასთანხმდნენ.

დაბოლოს, „რუსკია ვედომოსტი“ ასეთ დასკვნას დასდგომია: თუ პროტოპოპოვის მოქმედება აქამდისაც ეწინააღმდეგებოდა სათათბიროს პროგრესიული ბლოკის პოლიტიკას, ახლანდელი მისი მინისტრად დანიშვნა საბოლოოდ სწყვეტს ყოველივე შემაერთებელ ძაფებს მასთანო... ამიტომ ბუნებრივია, თუ „პროტოპოპოვის საკითხი საყოველთაო განცვიფრებას იწვევს და ამ განცვიფრებას მეტად ამძიმებს სტოკჰოლმის ბაასი და ახალ გაზეთის გამოცემაო“. პატივცემულ კადეტთა ორგანო უფრო „განცვიფრდებოდა“ მის შემდგომ, რაც პეტროგრადის გაზეთებმა გვაუწყეს, მინისტრთა თავმჯდომარე შტიურმერი მეტად მონდომებულია, რომ ამ მოკლე ხანში ესპანეთის მზიან დედაქალაქ მადრიდში გაისეირნოსო.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

21 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ნოვოალექსანდროვსკის აღმოსავლეთ მიდამოებში, ზარბაზნების სროლის შემდეგ, გერმანელები წყება წყება გამოვიდნენ მავთულის ხლართებიდან, მაგრამ სროლით უკანვე გავაბრუნეთ თავის თხრილებისაკენ. მდინარე სერეტზე კრონკი-ოსტაშინის ბრძოლის ხაზზე ღამის 1 საათზე მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ზატუსაღლი-ვოლია სადოვსკაია-შელვოვის მიდამოებში ცხარე და მედგარი ბრძოლაა. ჩვენმა ჯარმა მოპირდაპირის სანგრების ნაწილი დაიჭირა. მტერი თავგანწირვით იბრძვის. მდ. ცენიუვკაზე და ზოლოტოი ლიპას მარჯვენა ნაპირის სიმაღლეზე მედგარი ბრძოლა არა სცხრება. ცენიუვკაზე მოპირდაპირემ დიდძალი მარქაფა ჯარი მოიშველია და შემოგვიტია, მაგრამ დიდის ზარალით მოვიგერიეთ. თავგანწირული ბრძოლა გრძელდება. ამ მიდამოებში 19 ენკენისთვეს 100-ზე მეტი დავატყვევეთ, ხოლო 17, 18 და 19 ენკენისთვეს კი 500, მათ შორის 8 აფიცერი.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი რამ ცვლილება არ მოხდარა.

20 ენკენისთვე.

**ლონდონი.** საფრანგეთში მდგომ ინგლისის მთავარ-ბანაკის საღამოს ცნობა. 18 ენკენისთვეს ანკარას სამხრეთით ჩვენმა შუაგულის ჯარმა ბრძოლის ხაზზე ყველა სიმაგრეები აიღო, 3,000 იადრის მანძილზე ოკურლაბედან დაწყებული. მოპირდაპირის 5 საფრენი დავღუპეთ. ჩვენი ერთი საფრენი აღარ დაბრუნებულა.

**პარიზი.** საღამოს ოფიციალი ცნობა. სომას ჩრდილოეთით, მუშავენის აღმოსავლეთისაკენ ხელის ყუმბარებით ბრძოლის შემდეგ წინ წავიწიეთ. ხელთ ვიგდეთ 40 ტყვე და 6 ტყვიისმფრქვეველი. ლეპინ-დე-ქალასიზის მახლობლად მოპირდაპირის რაზმი გავფანტეთ. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 50 მოკლული. უამინდობა აფერხებს სამხედრო მოქმედებას სომას ბრძოლის ხაზზე.

**კორფუ.** ინგლისის მთავარ-ბანაკის ცნობა. გერმანეთ-ბულგარეთის ოფიც. ცნობით 13 ენკენისთვეს ყაიმაკჩალალანის იერიშის დროს ბულგარელებმა გაიმარჯვეს, ნამდვილად კი მათ აიღეს მხოლოდ რამდენიმე ჩვენი წინ წაწევდილი თხრილი, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. არც ისაა მართალი, ვითომც ბულგარელებს 2 ზარბაზანი წაერთმიოთ ჩვენთვის. არც ერთი გემი და არც ერთი ტყვიისმფრქვეველი მათ ხელში არ ჩავარდნიათ.

21 ენკენისთვე.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ოფიციალი ცნობა. ღამე ანგარის სამხრეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. ოკურლაბეს აღმოსავლეთით ბრძოლის ხაზი გავასწორეთ და ოკურიდან მტერი გავდევნეთ. მოპირდაპირემ რეგინის თხრილები იერიშით დაგვატოვებინა. აქ მთელ დღე-ღამეს მედგარი ბრძოლა იყო. „ცეპელინებს“ წუხელ თავდასხმის დროს მოუკლავთ 1 კაცი, 1 დედაკაცი დაუჭრიათ. თუმცა ბევრი ყუმბარები ჩამოჰყარეს, მაგრამ ძალიან დაზიანებულა მხოლოდ 4 სახლი.

დილიდანვე ძალიან წვიმს. სოფელ ოკურ-ლაბესთან ძლიერი ბრძოლა იყო, გერმანელებმა რამდენიმე სახლში ფეხი მოიკიდეს. გიდეკურის სამხრეთ-დასავლეთით და კურსელეტის ჩრდილოეთით და დასავლეთის ჩვენი მდგომარეობა გამოვაკეთეთ. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი და 63 ჯარისკაცი. გუშინ მტრის 2 საფრენი გავანადგურეთ. რამდენიმე საფრენი იძულებული ვყავით ძირს დაშვებულიყო. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიციალი ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლა გრძელდება. ქ. გურგიუსთან (დიერდიო) და გარგიცთან ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიისმფრქვეველი, 11 აფიცერი და 500 ჯარისკაცი. სამხრეთის ასპარეზზე ჩვენი ჯარი დუნაიზე გადავიდა რუშჩუკსა და ტურტუკაის შუა. დობრუჯში მთელი ბრძოლის ხაზზე იერიშით მივდიოდით მტერზე. დობრუჯში მოპირდაპირის შუაგულის ჯარს და მარჯვენა ფრთას უკან დავახევინეთ.

**პარიზი.** რანგრუას ჩრდილოეთ ნაწილში, სომას ჩრდილოეთით ფიცხელი ბრძოლაა ზარბაზნებით. სენ-პიერვაასტის ტყესთან გერმანელები უნაყოფოდ შეეცადნენ წინ წამოწევას.

გუშინ კონდენეზ-ორტრისთან ფრანგმა მფრინავმა გერმანელების ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ტრანსილას სამხრეთით სერჟანტმა სოვაჟმა მტრის საფრენი გაანადგურა.

აღმოსავლეთის ჯარის შტაბის ცნობა: სტრუმას მარცხენა ნაპირას ბულგარელების ორი იერიში დიდის ზარალით მოვიგერიეთ. ყაიმაკჩალანის ჩრდილოეთით ჩერნოვის ნაწილში, სერბიელები წინ იწევენ. გუშინ სერბიელებმა სტარკოვგმობას სიმაღლეზე პირველი თხრილები აიღეს. იმავე დღეს ხელთ იგდეს ბულგარელების ბატარეა.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა. სურფიუს, გურგიეს და გარგიილის მთებში ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 300 ჯარის კაცი და ბევრი სამხედრო მოწყობილება. მდ. ალიუტის მარჯვენა ნაპირას 16 ენკენისთვეს კონტრ-იერიშები მიგვაქვს მოპირდაპირეზე მთებში. ჯიუს ველში ობროჩისა და პეტროსენის მთების მიდამოში მტერი მედგრად გვიტევდა. აქ მოშხამული გაზიც იხმარა. იერიშები მოვიგერიეთ. ორშოვთანაც მოვიგერიეთ მტრის იერიში. დობრუჯის სამხრეთ ბრძოლის მთელ ხაზზე იერიშები მიგვაქვს მოპირდაპირეზე, რომელიც თავგანწირვით იბრძვის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საბერძნეთში.**

საბერძნეთის კუნძულებზე ვენიზელოსის გავლენა თანდათან ვრცელდება. კრიტოსის კუნძულზე ჰერაკლიონში დროებითი მთავრობის განკარგულებით დაატუსაღეს ნამინისტრალი მიხელიდაკისი, რომელიც ვენიზელოსის მომხრეების წინაალმდეგ ილაშქრებდა.

დროებითი მთავრობის შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე ვენიზელოსი, საზღვაო მინისტრი კუნტუიოტისი და სამხედრო მინისტრი გენერ. დანგლისი.

დანგლისი კრიტოსის კუნძულზე გაემგზავრა რამდენიმე აფიცრის თანხლებით საბერძნეთის ერთ-ერთ ნავმოსნით, რომელზედაც მეამბოხეთა ბაირაღი აფრიალა.

საბერძნეთის მესამე კორპუსის უფროსი გენერალი პარასკევოპულო რევოლიუციონერებს მიემხრო და ვენიზელოსს ასეთი დეპეშა გაუგზავნა: ჩემს მამულიშვილურ მოვალეობად მივიჩნიე დავემორჩილო თქვენს მოწოდებას. სულით და გულით ვინატრი, რომ მთელი ხალხი შეიმხროს თქვენს მოწოდებას“. ამავე დროს მეფე კონსტანტინეს დეპეშით აცნობა: „ჩვენი სამშობლო უდიდეს განსაცდელშია. ამისათვის მივეშურები სასახელო ბრძოლის ველისაკენ მაკედონიაში, სადაც ჩვენს მოსისხლე მტერს ფეხი მოუკიდნია.

კრიტოსის ჟანდარმერიის უფროსმა ტსამბულასმა შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით აცნობა, რევოლიუციონერებს მივემხრეო: „სამხედრო პატიოსნება მავალებს დავემორჩილო ეროვნულ კომიტეტის მოწოდებასაო“.

„ტაიმს“-ში სწერს: საბერძნეთის ახალ სამინისტროს მარჯვენა ხელნი და სულის ჩამდგმელნი, გარეშე მინისტრად ნამყოფი სტრეიტი და გენ. დუსმანისი მხოლოდ იმის ცდაში არიან, რომ მოკავშირენი ხელზე დაიხვიონ და ორი თვით მაინც გააჭიანურონ მოლაპარაკება. გერმანელების მოტრფიალეთ იმედი აქვთ ამ ორ თვეში გერმანელები შესძლებენ რუმინეთის გასრესას, რის შემდეგაც აუარებელ ჯარს მოუყრიან თავს დარდანელში. ასეთ გარემოებაში კი საბერძნეთის ომში ჩარევაც შეუძლებელი გახდებაო.

**გერმანელების იმედი. ნობა.**

„პოლიტეკენი“ სწერს: გერმანელებს იმედი არა აქვთ, რომ მშვიდობიანობა მალე დამყარდეს. მაგრამ იმედი კი აქვთ, რომ გერმანეთი გასძლებს, სანამ ზავი თავისთავადაც მოვა. „უნდა გავძლოთ“, ასეთია ეხლა გერმანელების ლოზუნგი.

**ბელგიის დაცლა.**

„ეკო ბელჟ“-ი სწერს: აქ მოსალოდნელად მიაჩნიათ კაიზერის ბრძანების მიღება, ბელგიის დაცლისთაობაზე. ბელგიის ნამესტნიკმა ბარონმა ბისინგმა მოწერილობა მიიღო, რომლის ძალითაც გერმანელ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ოჯახებს აკრძალული აქვთ ბელგიაში დარჩენა. ნამდვილი ცნობებიდან შეიტყვიათ, რომ ასეთი ოჯახები ღვინობისთვის პირველამდე უნდა გავიდნენ ბელგიიდან. მხოლოდ რაიმე განსაკუთრებულ გარემოების გამო თუ ვისმე მისცემენ ნებას 1 იანვრამდე დარჩენისას.

**გერმანელები აღმოსავლეთის ასპარეზზე.**

„მორნინგ პოსტი“-ი 15 ენკენისთვის თარიღით იტყობინება: რეინის პროვინციაში მყოფი ელტენუა და ემერიხის მეციხოვნე ჯარები აღმოსავლეთის ასპარეზზე გადაიყვანეს.

**ოსმალეთის ჯარი ევროპაში**

სტამბოლში ჩასულა გერმანელების სამხედრო მისია და სწრაფად რაზმავს ოსმალებს, რომელთაც მაშინვე ევროპის ასპარეზისაკენ ისტუმრებენ. ავსტრიისაკენ ორი-სამი მატარებლით ყოველ დღე იგზავნება ოსმალთა ჯარი.

ენვერფაშა გერმანელთა მთავარ ბანაკში მისულა.

**რუმინეთში**

ბულგარელები ვიდინას ციხე-სიმაგრიდან განუწყვეტლივ უშენენ ზარბაზნებს რუმინეთის ნავთსადგურს კალაფატს.

**მეფე კონსტანტინეს ბედი.**

ფრანგული გაზეთების აზრით, ვენიზელოსი მოახერხებს მეფე კონსტანტინეს გადარჩენას, მისი სურვილის წინაალმდეგ.

## უკანასკნელი დეპეშები

„რუს. ინვ.“ იტყობინება: ამ ჟამად ბრძოლა ბროდსა და კრასნოეს მიდამოებში სწარმოებს ტარნოპოლ—ზლოჩევსკის მიმართულებითაო, აქ თავგამოდებით იბრძვის გენერალი ბრუსილოვი. მას მიზნად აქვს გერმანელების გარდაწყვეტილებას, რუმინელების მოსასპობად, ხელი შეუშალოს. ბროდის რკინის გზა მოკლე და პირდაპირი გზაა ლვოვისკენ, სწორედ ამით აიხსნება, რომ გენ. ბრუსილოვის ჯარს გერმანელები სასტიკ წინაალმდეგობას უწევენ.

—

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ჩერნოვოდ-კონსტანცთან საქმე კარგად ვერ მოაგვარეს, აღარ სცდილობენ აქ დიდ ბრძოლის გაჩაღებას. სამაგიეროდ კვირა ნახევარია ტრანსილვანიის ფრონტზე ჯარს აგროვებენ. აქ თავი მოუყარეს 17 დივიზიას ავსტრია-გერმანეთ-ოსმალეთის ჯარისაგან შემდგარს.

—

აქ გერმანელებმა დაიწყეს ბრძოლა. სამ დღის ბრძოლის შემდეგ რუმინეთის ჯარმა გერმანშტატიდან როტერტერმის ხეობით უკან დაიხია.

## ლურჯ ბილეთიანების გაწვევა

(პეტროგრ. სააგ. დეპეშა)

**პეტროგრადი.** 20 ენკენისთვე. უმაღლესი ბრძ. ნება უმართებულეს სენატს.

საჭიროდ ვსცანით რა სათადარიგო ნაწილთა შევსება და სასანიტარო დაწესებულებათა გაძლიერება მენონიტებით, ვბრძანებთ: მთელი იმპერიის ყველა გუბერნიიდან, ოლქებიდან და საგრადონაჩალსტვოებიდან, კავკასიის გარდა, გაწვეულ იქმნენ: 1) ლურჯ ბილეთიანები (მეორე ხარისხის მოლაშქრენი) 1900-დან 1916 წლამდე გაწვეულნი; 2) ლურჯ ბილეთიანი მენონიტები 1900—1916 წლებში გაწვეულნი. გაწვეულთა გამოცხადების პირველ დღედ 20 სექტემბერი დაინიშნოს. უმართებულესი სენატი არ დაა ყოვნებს სათანადო განკარგულების მოხდენას.

ნამდვილზე მის იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია

„ნიკოლოზ“

მეფის ბანაკი. 18 ენკენისთვე 1916 წ. ადასტურებს სამხედრო მინისტრი ინფანტერიის გენერალი შუაევი.

## ჯარში გაწვევა

გუშინ თბილისში გამოაცხადეს, რომ ჯარში გაწვეულ არიან პირველი ჯარის მოლაშქრენი (წითელ-ბილეთიანები) 1916 წლიდან დაწყებული 1894 წლამდის და აგრეთვე 1916—1910 წლის ლურჯ-ბილეთიანები, რომელნიც გადაურიცხიათ მეორე ხარისხის ლაშქარში, ან წითელ ან თეთრ-ბილეთიანებიდან აქამდის ჯარში გაწვევის დროს.

## დეპეშა

(საკ. კორესპონდენტი.)

**ს. კონდოლში** (თელავის მაზრა). ბოროტ გამზრახველებმა მოჰკლეს ორი ჩაფარი, გაიტაცეს თოფები.

შუამთელი.

## ახალი ამბავი

**სასახლეში.**

◆ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა საკვებ საქმის მთავარ რწმუნებული კ. ი. შაშკოვსკი.

**ქართული დაწესებულებანი**

◆ **სკოლა ხევსურეთში.** ქ. საქვ. საზოგადოების გამგეობამ შემდეგი წერილით მიმართა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას: „ხევსურთა დეპუტაციამ გვთხოვა სკოლის გახსნა ხევსურეთის რომელიმე კუთხეში. როგორც მოგეხსენებათ ხევსურეთისთვის ეს ერთობ დიდი საკითხია, სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს საშუალება სკოლა გაუხსნათ ჩვენი საკუთარი ძალღონით ხევსურებს, ამიტომ გთხოვთ უმორჩილესად ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას თავის ერთ-ერთ მახლობელ კრებაზე აღძრას საკითხი ხევსურეთში სკოლის დაარსების შესახებ და მიიღოს თავის თავზე ამ საქმის გაძღოლა. თავის მხრივ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება ამ საქმისთვის დახმარებას არ დაიშურებს, რამდენადაც საშუალება ნებას მისცემს“.

◆ **სტიპენდიების განაწილება.** ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. გამგეობამ 20 ენკენისთვის სხდომაზე კენჭი უყარა 29 მთხოვნელს, განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილის 5 სტიპენდიისას. სტიპენდიები ერგოთ სტუდენტებს: დავით ნიკიტინს, ვასილ ძინძიბაძეს (კონკურსში არ მოჰყვა, ვინაიდან ქართულ სას. სამ. საზ. საბჭოს მიერ იყო ნაქებბი), შალვა თაბუკაშვილს, დიმიტრი ბარნაბიშვილს და ალექსანდრე ცირაკიძეს. ერთდროული დახმარება დაენიშნა ირაკლი უთურგაურს.

◆ **ხევსურთა მეორე დეპუტაცია.** გუშინ მეორე დეპუტაცია წარუდგა თბ. გუბერნატორს პირიქით ხევსურეთიდან შატილისა და არდოტის სოფლის საზოგადოებისა ქარ. საქველმ. საზ. რწმუნებულის დ. გ. ცერცვაძის თანხლებით და ისეთივე თხოვნით მიმართა როგორც პირაქეთ ხევსურეთის დეპუტაციამ. გუბერნატორმა ისეთივე პასუხი გასცა როგორც პირაქეთელებს და თანაც დასძინა, რომ მეფის ნაცვლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. თ-დი ორლოვი პრინციპიალურად წინაალმდეგი არ არის სამხედრო ბეგრის მოსახდელად აქვე დასტოვონო.

◆ **სათეატრო სეზონი.** ქარ. თულმა დრამატიულმა საზოგადოებამ საბოლოოდ დაამთავრა მოლაპარაკება ქართველ მსახიობთა ამხანაგობასთან და 1 ოქტომბრიდან იწყებს საზამთრო სეზონს. დასში შედიან შემდეგი მსახიობნი: ქ.ქ. ნინო დავითაშვილი, ტ. აბაშიძე, ა. ქიქოძე, ნ. ჯავახიშვილი, მ. ქილარჯიშვილი და ა. შოთაძე. ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, გ. იმნაძე, ნ. გვარაძე, გ. ფრონისპირელი, ნ. ციციშვილი, მ. სარაული, ნ. ჩაგუნავა ი. თარალაშვილი. რეჟისორად მიწვეულია ალ. წუწუნავა. ამხანაგობის წარმომადგენლად დასმა აირჩია ი. ზარდალიშვილი. გარდა ამისა დრო გამოშვებით მიწვეულ იქმნებიან ქ. ჩერქეზიშვილი და ბ. ბ.-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი და დ. მგალობლიშვილი.

**მთავრობის დაწესებულებანი.**

◆ **საავარაკო ყრილობის** პროგრამა უკვე შეიმუშავა საბოლოოდ საორგანიზაციო კომისიამ და ამ დღეებში მეფის ნაცვალს წარედგინება დასამტკიცებლად.

◆ **ბაქოს ქალაქის მოურავი** ლ. ლ. ბიჩი წარუდგა მეფის ნაცვლის თანაშემწეს გენ. ლ. ორლოვს და მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორს კამერგერს პ ვ. ისტომინს და დაწვრილებით მოახსენა საკვებ საქმის მდგომარეობა ბაქოში. ამ მხრივ ბაქოს თვითმართველობის შუამდგომლობას, სრულიად წააგავს თბ. ქალ. თვითმართველობის შუამდგომლობას, ე. ი. ბაქოსაც ვაგონების რიცხვის გამრავლება სჭირდება თურმე, ყველა სანოვაგის განთავისუფლება რეკვიზიციისაგან და ბაქოდან გაზიდვის აკრძალვა რამე სანოვაგისა.

**ქალაქის დაწესებულებანი**

◆ **ცეცხლის გაჩენა ქალ სახლში.** 20 ენკენისთვეს, როცა ყველა მოსამსახურენი წასული იყვნენ სამსახურიდან, ბუფეტის ოთახში ცეცხლი გაჩნდა. გამოწვეულ იყო ცეცხლისმქრობელი რაზმი. წყლის ონკანებში წყალი არ აღმოჩნდა და ვედროებით დაიწყეს ზიდვა. ცეცხლი დიდ მსხვერპლს უმზადებდა მთელ ქალაქის შენობას, თუ დარაჯები მარჯვედ არ მოქცეულიყვნენ. სავარაკოა სწორედ ის გარემოება, რომ ამოდენა შენობაში ცეცხლის საქრობი ონკანები არ არის.

◆ **ჯარში გაწვეულთა შეღავათის** მიმცემ საქალაქო კომიტეტში დღეს საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე დანიშნულია საგანგებო კრება 1897—1904 წ. წ. პირველხარისხოვანთა თხოვნების განსახილველად შეღავათის მიცემაზე. თხოვნები საღამოს 7 საათამდე იქმნება მიღებული კომიტეტის ბინაზე სერგიევის ქუჩა № 4. თეთრ ბილეთიანების 1916—1910 წ. წ. თხოვნები კი 28 ენკენისთვემდე იქმნება მიღებული რადგან მათ ჯარში გაწვევა 1 ოქტომბერს მოუწევთ.

◆ **პურის კრიზისი** გრძელდება თბილისში, თუმცა იმედი აქვთ დღეიდან მოსპობა იმ წამებისა, რომელსაც მცხოვრებნი განიცდიან მეფურნეების კართან რიგში ჩამდგარნი. მეპურეებს დაურიგდათ 15 ვაგონი ფქვილი, რომელიც ფოთიდან მიიღო ქალაქმა. ქალაქის გამგეობამ გულიევის ფირმას 40 ვაგონი „რაზმოლის“ ფქვილი შეუკვეთა.

◆ **ხოლერა.** 21 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ხოლერიანთა რიცხვი ქალაქის საავადმყოფოში 93 სულს უდრიდა, ხოლო საეჭვო 5.

◆ **გადამდები სნეულებანი.** 21 ენკენისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იყვნენ: ქუნთრუშიანი 99, ყელჭირვებიანი 19, ყვავილიანი 5, სოოფლიანი 184 და მუცლიანი 8.

**სასწავლებლები.**

◆ **პოლიტეხნიკუმი.** თბ. პოლიტეხნიკუმის შესანახად ფულის გაღება დაიწყება მომავალ წლის მეორე ნახევრიდან. იმ წელშივე დაიწყება სწავლა პირველ კურსზე. მეცადინეობა იწარმოებს თბ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობაში, თუ მანამდე სხვა ბინა არ მოუძებნეს.

**სასულიერო უწყებაში.**

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** ბორჯომიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **აისორების ეპ. მოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა სალმასის ეპ. პიმენი, და საქართველოს ეგზარხოსთან ჩამოხდა. ამ დღეებში ეპ. პიმენი მიემგზავრება ურმიაში, სადაც 18 ათასი ცალი ბროშურა მიაქვს ასირულ ენაზე.

**სასამართლო**

◆ **საჩივარი ცოლზე.** საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ცოლ-ქმრის ევანგულოვებისა: ა. ი. ევანგულოვი აბრალებდა თავის ცოლს 477 მანეთად ღირებულ სხვა და სხვა ნივთების მოპარვას. დამნაშავემ განაცხადა, რომ მისი ქმარი გარყვნილ ცხოვრებას მისდევდა, და ბოლოს წინადადება მისცა მის საყვარელთან ერთად ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრებისა. ეს ვერ აიტანა მან და არა ფარულად, არამედ აშკარად მზითევში მოყოლილი თავისი საკუთარი ნივთები წაიღო სახლიდან მუხრანის ქუჩიდან. სასამართლომ მ. ევანგულოვისა გაამართლა.

◆ **საოლქო სასამართლოს** სესია დაბრუნდა ქ. ახალქალაქიდან.

◆ **გაემგზავრა თელავს** თბ. საოლქო სასამართლოს სესსია. საქმეების განხილვა დანიშნულია 21—25 ენკენისთვემდე.

**სხვა და სხვა ამბები.**

◆ **იშვიათ ქველმოქმედისა** ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის გარდაცვალების ორმოცი დღის თავის შესრულების დღეს 14 ენკენისთვეს სოფ. კარდანახის ღვთისმშობლის ეკლესიაში თინათინ ფორაქიშვილის თაოსნობით გარდახდილ იქნა პანაშვიდი სადაც დაესწრო მრავალი საზოგადოება. სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ივანე ახმეტელაშვილმა.

**ქ. გორი.**

გორის თვითმართველობისთვის, როგორც ეტყობა სამეფო და სხვა ორიოდე ქუჩის გარდა, სადაც ეგრედ წოდებული მოინტილიგენტე ვაჟბატონები ხშირად ერთმანეთს ხვდებიან, სხვა ქუჩები და შესახვევები არ არსებობს. ამ საიოდე ქუჩას აგვეინებენ და არწყვეინებენ განგებ დაქირავებულ მუშებს დღეში ორჯელ, დილით და საღამოთი, სხვა ქუჩებს კი შეიძლება ითქვას, რომ ყურადღებას სრულებით არ აქცევენ.

კარგს იზამდა ქ. გორის თვითმართველობა, თუ თვით არ შეუძლიან ქუჩების მოვლა-[illegible] პატრონებს მაინც [illegible] ყოველმა სახლის [illegible] თვით მოკირწყლოს.

— თვითმართველობის მოვალეობაა ყურადღება მიაქციოს, რომ სახლის პატრონებმა თავის ეზოები სუფთად შეინახონ და ნაგვის და სიბინძურის ბუდედ არ გახადონ.

— უპურობამ აქაც იჩინა თავი; ეს რამდენიმე დღეა რაც ჩვენ სახაზაზოებში პური ნაკლებათ ცხვება, ამიტომ შეხვდებით ყოველ სახაზაზოს წინ ჯგუფს.

— სასწავლო ნივთების დიდი სიძვირეა. ვაჟ[illegible] თითო რვეულში თოთხმეტ და თხუთმეტ კაპიკს იღებენ.

— საზოგადოება „მანდილოსნის“ სკოლაში სწავლა ჯერ არ დაწყებულა, რადგანაც ვერც შესაფერი ბინა უშოვნიათ და ვერც მასწავლებელი.

**ს. ნაფარეული** (თელ. მაზ.)

შეღამებისას ამ სოფელში 20 ყაჩაღი დაეცა იაგორ იზხანოვის წვრიმანფართლის დუქანს, ზოგნი შიგ შეცვივდნენ, ზოგმა გარედ ასტეხა საშინელი სროლა, მთელი სოფელი შიშის ზარმა მოიცვა, არ იცოდნენ რა ხდებოდა. 1200 მანეთი ნავაჭრი ფული წაურთმევიათ, შემდეგ ჩამოულაგებიათ მთელი საქონელი, შეუკრავთ ცალებად, აუკიდიათ ცხენებისათვის და გასდგომიან თავიანთ გზას. პატრონის ანგარიშით ფულის გარდა 5000 მანეთის საქონელი გაუტაცნიათ.

**თელავი.**

24 ენკენისთვეს აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ, ცნობილ მუსიკოსს ქურხულის მონაწილეობით გაიმართება: „ნიკოლოზ ბარათაშვილის საღამო“ სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებით.

— ეხლავე ემჩნევა რომ ამ ზამთარს შეშის დიდი სიძვირე იქნება, ურემი შეშა წინათ 4—5 მანეთად გვიღირდა, დღეს 8—10 მან. აფასებენ.

— ეხლა მოიტანა თუ დამალული ჰქონდა, ამას ვერავინ გამოიცნობს, ცოტაოდენი თევზი მეთევზე გიორგი ახალქალაქელოვმა, ნაკუდას ბიჭს მოეპოვება. და წინათ თუ სულ უბრალო თევზი „იანი“ გირ. 35 კ. იყიდებოდა, ეხლა 1 მ. 40 კ. ჰყიდის, ისიც დიდი ხათრით თავის მეგობრებზე.

**ბაკურიანი.**

11 ენკენისთვეს ბაკურიანის მომხმარებელ საზოგადოების დამფუძნებელი კრება მოხდა. კრებას თავმჯდომარეობდა ადგილობრივი მღვდელი ვრ. ჯობავა, რომლის თაოსნობითაც დამტკიცებულ იქმნა წესდება მომხმარებელ საზოგადოებისა. არჩეულ იქმნა ხუთი წევრი გამგეობისა და სამი წევრი სარევიზიო კომისიისა. გამგეობის თავმჯდომარედ მღვდელი ერმალოზ ჯობავა არის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ტყის უფროსი ი. ტატოსოვი. იმ დღესვე შემოტანილ იქმნა ორი ათას ორასი მანეთი და იმედი გვაქვს ძირითადი თანხა ხუთი ათას მანეთამდის ავა. ბაკურიანის მომხმარებელ სასოგადოების წევრებად ეწერებიან მცხოვრებნი, როგორც ბაკურიანისა, ისე ციხის ჯვარისა, მიტარებისა და თორისა. სრული იმედია, რომ გამგეობა ენერგიულად გაუძღვება კოოპერატიულ საქმეს და გაამართლებს ნდობას მთელ საზოგადოებისას.

## ქალაქის საბჭო

**კერძო თათბირი.**

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, 19 ენკენისთვეს შედგა პირველი სხდომა ქალაქის მამებისა.

ქალაქის მოურავმა განუცხადა კრებას კერძო თათბირზე, რომ პურის კრიზისის შესახებ შემდგარმა თათბირმა ბევრი სანუგეშო რამ ვერა გაგვიზიარაო. ასე რომ მოსალოდნელია ქალაქში პურის სიმშილის ჩამოვარდნაო.

**საჯარო სხდომა.**

კრებას 63 ხმოსანთა თანადასწრებით ხსნის ქალაქის მოურავი და წინადადებას იძლევა განსვენებულ ხმოსანთ ვ. ზ. კანდურალოვს და ვ. ა. სარაჯიშვილს ფეხზე ადგომით პატივი სცენ, რასაც კრება ეთანხმება.

**ხოლერის საკითხი.**

ქალაქის მოურავი განუმარტავს კრებას, რომ დღიდან ხოლერის თავის ჩენისა (25 მკათათვიდან ვიდრე 19 ენკენისთვემდე) ხოლერიან ავადმყოფთა რიცხვი უდრიდა 322 სულს, საშუალოდ დღეში 5—6 სული იყო ავადმყოფი; გარდაცვლილთა რიცხვი უდრიდა სულ 130 სულს, თითქმის 30%.

### პოლიტეხნიკუმი.

მოსმენილ იქმნა ქალაქის გამგეობის მოხსენება ქალაქის თანხების რეალიზაციის შესახებ პოლიტეხნიკუმზე, ქალაქი იძლევა 400 ათას მანეთის სესხს დამატებით ქალაქის მიერ დაგირავებულ უკვე უძრავ მამულებზე. ქალაქის საბჭო ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას.

### სატრაქტირო გადასახადი.

საბჭო ადასტურებს ქალაქის გამგეობის დადგენილებას, რომ სატრაქტირო გადასახადი ისევ 124,280 მან. დარჩეს და არა 80 ათასი როგორც მას თხოულობდნენ წარმომადგენელნი ამ სახლებისა.

### საკვების საკითხი.

ეს საკითხი სარჩულად დაედო ამ სხდომის ყრილობას. ფართე მოხსენება წარუდგინა საბჭოს ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ა. ჯაბარმა. მან თავის ხანგრძლივ მოხსენებიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ გირვანქა პურზე, თუ ორი შაური არა, ცხრა კაპეიკი მაინც უნდა გავხადოთო.

ქალაქის მოურავმაც დაადასტურა პურის კრიზისი და დღევანდელ მომენტზე ის აზრი გამოსთქვა, რომ მდგომარეობა არ გაუმჯობესდება და ხანგრძლივ პურის კრიზისისთვის უნდა მოვემზადნეთო.

### ბოროტ მოქმედების შესახებ.

ქალაქის გამგეობის წევრმა ანგარიში გაუწია იმ წერილებს რომელიც ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა ამას წინად ბაქოდან მიღებულ ფქვილის შესახებ.

ბ. ჯაბარმა განაცხადა ამ წერილების შესახებ შემდეგი: „ქალაქის გამგეობამ მიიღო ცნობა, რომ საქონლის გადაზიდვა რკინის გზებზე დროებით ისპობაო. გამგეობამ თვის შეკითხვაზე სად იშოვოს ფქვილი, მიიღო ესეთი პასუხი იშოვეთ სადაც გსურთ მხოლოდ ბალაჯარას იქითაო: ჩვენ ამის შემდეგ მივმართეთ ყველა კერძო პირთ ნარიადების მისაღებად, მათ შორის არვანიანცსაც ბაქოში, რომელსაც გულისხმობს „ზაკ. რეჩი". დიდი ხვეწნის შემდეგ ჩვენ ნება მივიღეთ ბაქოდან გამოგვეზიდა შესყიდული ფქვილი, მათ შორის 22 ვაგონი არვანიანცისაგან. სანამ ეს ფქვილი მოვიდოდა ჩვენ მივიღეთ 65 ვაგონი, რომელიც გამგეობას უკვე შესყიდული ჰქონდა. არვანიანცის ფქვილი მწარე აღმოჩნდა ასე რომ არც ერთმა მეპურემ არ წაიღეს ეს ფქვილი და მის პატრონმა ჩქარა მოაშორა აქედან თვის საწყობებში საიდანაც შემდეგ გადაესყიდა თბილის გარეშე. ამის გამო მან დააჯარიმა იგი 500 მანეთში და „ნარიადების" მიღება მოუსპო. ტერ-მინასიანცს კი არას დროს „ნარიადებისთვის" არ მოუმართავსო.

ჯაბარის განცხადებით ხმოსანთა უმრავლესობა კმაყოფილდება და გამგეობის მოქმედება ამ საკითხში სისწორით არის ცნობილი.

შემდეგი განხილვა ამ საკითხისა გადაწყდა გადატანილ იქმნას 22 ენკენისთვის, ე. ი. დღეისთვის.

## ლადო დარჩიაშვილის უკანასკნელი დღეები*)

უკანასკნელი ცხრა თვე ვლ. ივანესძე კუჭის ტკივილებს უჩიოდა. ტკივილები ხანგამოშვებით გადუვლიდა ხოლმე და ამ დროს სულიერი განწყობილება კარგი ჰქონდა, მაგრამ კვლავ უახლდებოდა ეს ტკივილები და მაშინ ის მძიმე სულიერ განწყობილებაში ვარდებოდა.

რადგანაც ადგილობრივმა ექიმებმა ვერა უშველეს რა, რამდენჯერმე იყო ლაიპციგში სპეციალისტ ექიმებთან. უკანასკნელად იქ ყოფნის დროს ის ბეჯითად გაშინჯა ერთმა ექიმმა ყველა თანამედროვე მეცნიერული მეთოდით: ქიმიური გამოკვლევით და რენტგენის სხივებით და აღმოაჩინა კუჭში პატარა იარა.

ვლად. ივანეს ძე ლაიპციგიდან კარგ გუნებაზე დაბრუნდა მთლად დამშვიდებული და დარწმუნებული, რომ ახლა ფიქრიც კი არ შეიძლებოდა კუჭის კიბოზე, რომლისაც ვლადიმერ ივანეს ძეს ძრიელ ეშინოდა-მუსაიფის დროს ამხანაგებისათვის არ-ერთხელ გამოუთქვამს ეს შიში.

უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ კი ის ძრიელ კარგად გრძნობდა თავს და მუდამ მშვენიერ სულიერ განწყობილებაში იყო. მაგრამ 2 მაისს (ახალი სტ.) ვლად. ივანეს ძეს თავი ძრიელ ცუდად ეგრძნო. უჩიოდა კუჭისა და მუცლის ტკივილებს. ხუთშაბათამდე 5 მაის. ჩვენ მას აღარ შევხვედრივართ. ხუთშაბათს კი ვლად. ივანეს ძე მისულიყო ერთ ჩვენ ამხანაგთან და შეეჩივლა, რომ აუტანელი და საშინელი ტკივილები აწუხებს და ეთხოვა რჩევა. ამხანაგს წაეყვანა ადგილობრივ ექიმთან. მაგრამ ამ დღიდან ვიდრე უკანასკნელ წუთამდე ავათმყოფობა თანდათან უძლიერდებოდა. მიზეზი ამის მუცლის ფარის ანთება იყო, რომელიც გამოეწვია კუჭში კიბოს მაგვარ იარის გახსნას.

ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს ამხანაგები განუშორებლივ მასთან იყვნენ და უვლიდნენ თანახმად ექიმის რჩევისა. წარმოუდგენელ ძლიერ ტკივილებს ის მამაცურად იტანდა. იშვიათად თუ გაიგონებდით მისგან შეკავებულ კვნესას. ჩვენ არ გვინდოდა და არც შეგვეძლო დაგვეჯერებინა, რომ ვლადიმერ ივანეს ძის სიცოცხლე განსაცდელშია და ეს ავათმყოფობა მასთვის საბედისწეროა. მით უფრო, რომ ექიმებსაც ამაზე ჩვენთვის არა გაუმხელიათ რა. ამიტომ როცა ვლ. ივანეს ძე გვეუბნებოდა, რომ ვკვდებიო, ჩვენ უქარწყლებდით და ვარწმუნებდით, რომ სერიოზული არაფერია და მალე გადაუვლის ავადმყოფობა. სიკვდილისა მე არ მეშინიანო, გვეუბნებოდა ვლად. ივანეს ძე, მარტო წამებაა ეს ტკივილები და მძიმეა, რომ ვკვდები შორეულ მხარეს უმახლობლებოთაო.

ჩვენ რომ გვცოდნოდა, რომ მისი მდგომარეობა სერიოზულია და ისე დაჟინებით არა ვცდილიყავით გადაგვეჯარა მისთვის სიკვდილზე ფიქრი, შეიძლება ემცნო რამე და ეთხოვა გადმოგვეცა თქვენთვის მისი უკანასკნელი სურვილი.

ჯერ ისევ პარასკევს ის გვეუბნებოდა, რომ მისთვის უკეთესი იყო დაწოლილიყო საავათმყოფოში, რადგანაც იქ მოვლა უფრო უკეთესი და რაციონალურია, ვიდრე შინაო შაბათს დილიდანვე დაჟინებით დაგვიწყო თხოვნა გადაგვეყვანა საავათმყოფოში. ჩვენ დილიდანვე შეუდექით თავდარიგს და შუადღის სამ საათზე გადავიყვანეთ საკაცით ადგილობრივ საავათმყოფოში. როდესაც გამოუცხადეთ, რომ უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში, ის ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

ცოცხალი უკანასკნელათ ვნახეთ ჩვენ ის, როდესაც მივიყვანეთ საავადმყოფოში, გამოვეთხოვეთ და შევპირდით, რომ მეორე დღეს მივიდოდით სანახავად ამისათვის ნება დართულ მივედით რა მეორე დღეს საავადმყოფოში, ჩვენ შევიტყეთ, რომ ვლად. ივანეს ძე გარდაცვლილიყო.

მთელი ღამე საავათმყოფოში ძლიერ ცუდათ გაეტარაბინა. უჩიოდა საშინელ მწარე და აუტანელ ტკივილებს, მოწყალების დას ეუბნებოდა, რომ მას სიკვდილი არ უნდა, სურს ნახოს თავისი სამშობლო, ცოლი და თავისი პატარა გოგონა, რომელიც სრულიად არ უნახავს. გონება არც ერთ წუთს არ დაუკარგავს ვლად. ივ. ძეს. ამბობდა თურმე რომ ის კმაყოფილია საავათმყოფოში მოვლით. დილის 7 საათზე გაეწვიათ მასთან ექიმი. ექიმის ვიზიტის შემდეგ დაეძინა და ძილში მშვიდათ საუკუნოთ განესვენა.

თანამემამულეებმა კუბო მთლად ყვავილებით შეამკეს.

დაკრძალვას დაესწრო მთელი ჩვენი რუსის კალონია, რამდენიმე ადგილობრივი—ვლ. ივ. ძის ნაცნობი ადგილობრივი გერმანელი მოქალაქე. რუსის კოლონიამ შეამკო მისი კუბო რამდენიმე გვირგვინით, გვირგვინები იყო აგრეთვე მისი გერმანელი ნაცნობებისაგან. ღია საფლავთან გადავიღეთ ყველამ მღვდელთან ერთად ფოტოგრაფიული სურათი.

ნივთები, ტანისამოსი, წიგნები, ნაწერები, საათი და სხვა ინახება ადგილობრივ სასამართლო დაწესებულებაში.

*) წერილი გამოგზავნილია რუსის კალონიის წარმომადგენლებისაგან ლადო დარჩიაშვილის ცოლის სახელობაზე.

## მებრძოლი სახელმწიფონი

გ ე რ მ ა ნ ე თ ი.

VI

ჩვენი წერილები გერმანეთის შესახებ მეტად შეკვეცილი იქნებოდა, თუ გაკვრით მაინც არ შევეხებოდით სოციალურ საკითხთა მოწესრიგებას, რის გარეშეოც მთელი გენიოსობის ფარხმალი იმსხვრეოდა.

ყველამ ვიცით, თუ რა სასწაული მოახდინა ჯემსუატის მიერ ორთქლის მანქანის გამოგონებამ. იმ დღიდან ევროპის სახელმწიფოთა შორის მრეწველობა საოცარის სისწრაფით იზრდებოდა, მაგრამ ისეთის სახით, რომ მუშა უნებურად სწყდებოდა თავის საწარმოვო იარაღს. თუ ძველად ყოველ მუშას თავის ხელობის საწარმოვო იარაღი თან ჰქონდა და დამოუკიდებლობით ჰსარგებლობდა, დღეს გაუმჯობესებული იარაღი მისთვის მიუწდომელი გახდა, იგი კაპიტალისტის საკუთრებად გამოცხადდა და მუშა ერთად ერთ საკუთარ ძალღონის ანაბარად დარჩა, რომლის მიქირავება შეუძლიან იმასთან, ვინც ჰშოულობს ამ იარაღს. ასეთი კატასტროფა მოხდა ოატის გამოგონებით. განა რომ მუშებს ჰქონდათ უფლება შური ეძიათ მექარხნეებისადმი და მთელი გულის წყრომით მოეთხოვათ ეს იარაღი მუშათა კლასის საკუთრებად გადმოსულიყო. ყველა იმას, ვინც კი მუშას დაიქირავებდა, ესენი ეძახდნენ ექსპლუატატორებს. ამიტომაც მუშები სწრაფად განდგებიან მათგან. ესენი არ სცნობენ როგორც კაპიტალისტებს, ისე წვრილ ბურჟუასაც კი. აარსებენ საკუთარს პარტიას, რასაც შემდეგში სოციალ-დემოკრატების სახელით ვიცნობთ და პოლიტიკაშიაც, როგორც ეკონომიურის საკითხებში, მისდევენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ განსაკუთრებულს მიზნებს, რომელნიც კლასიურს ნიადაგს არა სცილდება არასოდეს.

გერმანეთში მუშათა შორის ამ ნიადაგზე აგიტაციის გაწევას ჯერ კიდევ მეორმოცე წლებში ვხედავთ. ამაში ხელს უწყობდა ამ დროს საშუალო წრიდან გამოსული ლიუდვიგ ანდრეას ფეიერბახი (1804—1872), რომელიც ფრანგ სოციალისტების მსგავსად აკრიტიკებდა უსულგულო კაპიტალიზმს. მისი შკოლის დადებით იდეალად ითვლებოდა ადამიანის **სრული თავისუფლება.** ამის პრაქტიკულ ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ მოსე, გესი და კარლ გრიუნი, რომელნიც კარლ მარქსმა ანარქისტებად ჩასთვალა, როგორც ინდივიდუმის სრულ განთავისუფლების და ავტონომიურის გამგებლობის მოტრფიალენი. მარქსმა მალე მოახერხა ამ მოვლენისაგან გაენთავისუფლებინა მუშათა კავშირი, რომლის ხელმძღვანელადაც გამოვიდა პირადად თვითონ.

ფეიერბახის იდეებიდან განწმედის უმალ მარქსი შეუდგა მუშათა პროგრამის შედგენას, რაიც 1848 წელს სისრულეში მოიყვანა კიდეც. ეს გახლავთ მისი **კომუნისტური მანიფესტი,** ეს ერთი უორიგინალესი თხზულება, რამაც უთუოდ რომ საპატიო ადგილი მოუპოვა მას ყველა დროის უდიდეს მოაზრეთა შორის.

მართალია, მარქსმა დაამარცხა ფეიერბახი, მაგრამ დამარცხებულისაგან მან ისწავლა ისეთი რამ, რაზეც ააგო მთელი თვისი მოძღვრება. სწორედ ფეიერბახის წყალობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **კაცობრიობის ისტორიისას არა იდეებსი ამოძრავებენ, არამედ ადამიანი თვითვე ჰქმნის ამ იდეებს.** აქედან მთელი მისი მოძღვრება იღებს **მატერიალისტურს** საფუძველს. ფეიერბახის მიერვე მიჰხვდა, რომ უმაღლესი არსნი, რაც კი ადამიანის მისტიურმა ფანტაზიამ შეჰქმნა, მხოლოდ ადამიანისავე არსების იდეალურს სახიერებას წარმოადგენენ და მეტს არაფერს. თუ ამნაირად შეჰქმნიდა ადამიანი რელიგიას, მაშ რად არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე პროცესი მოხდა ყოველს პოლიტიკურს, უფლებრივს, მხატვრულს სფეროს წარმოშობაში? და აი, მარქსიც იმ დასკვნას დაადგება, ვითომც ყოველ გვარი ისტორიულ განვითარების საფუძველი, იქნება ეს პოლიტიკა, თუ სხვა რამ საზოგადოებრივი, კულტურული თუ სულიერი მოვლენა, გამოწვეულია **ეკონომიური დამოკიდებულებებითაო.**

გერმანეთში მარქსის მოძღვრებას, როგორც მის წინამორბედ სოციალისტ ფერდინანდ ლასალისას, ამ მკვირცხლ, მორალურ ძლიერი ლოღიკისა და ფრიად მჭერმეტყველ აგიტატორისას, რომელმაც ძალიან ადრე წერტილი დაუსვა თავის ნაყოფიერს მუშაობას უგნურ დუელით (1825—1864), მუშები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ, რომ მთავრობისათვის ძალა გამოეტაცნათ და ქვეყნის მმართველად თვითონვე გამოსულიყვნენ. დაუმატეთ, რომ საფრანგეთიდან კონტრიბუციის ოქროს მდინარემ სოკოსავით გაამრავლა გერმანეთის ქარხნები, მრავალი მშრომელი მოსწყვიტა მიწას, მრავალი გამოათხოვა სახლკარს, საკუთარს ქონებას და სოფლიდან ქალაქში გადმოასახლა, გაიხსენეთ ისიც, რომ მუშათა რიცხვის ასეთის არაჩვეულებრივს გაძლიერებას და ქარხნების მიერ ზედმეტ საქონლის დაგროვებას მოჰყვა საშინელი კრიზისი (1875 წ.), მაშინ მიხვდებით, თუ ამ ნიჭიერს აგიტატორებს და დოქტრინერებს რა დიდი მასალა მიეცემოდათ თავიანთ იდეალების საპროპაგანდოდ. აი ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მოხდა ჯერ არ ნახული მაგალითი და მუშებსაც პარლამენტში 20 ადგილი დაუთმეს ჯერ კიდევ 1877 წელს.

სოციალისტთა მკაცრი კრიტიკისა და პანეგრიკების წყალობით 1878 წელს მოხდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი: ვინმე მაქს გალელმა რევოლვერი ესროლა იმპერატორს, ეს მოხდა 11 მაისს. გალელმა ტყვია დააცილა. სამაგიეროდ იმავე წელს თიბათვის ორს კარლოს ედუარდ ნობილინგმა ორი ტყვიით მოხუცი იმპერატორი თითქმის სასიკვდილოდ დასჭრა (ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა იგი) და თვითონაც იქვე თავი მოიკლა. მართალია, გალელმა თავისთავი ანარხისტად გამოაცხადა, მაგრამ ეს გარემოება უკვე საუკეთესო იარაღად მიეცა მმართველ წრეებს, რომ სასტიკი რეპრესიებისთვის მიემართნათ მუშათა მოძრაობის ჩასაქრობლად. უწინარეს ყოვლისა, რეიხსტაგში სწრაფად გაყვანილ იქმნა კანონი საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად, რომლის ძალითაც უნდა დაეკეტათ ყოველგვარი სოციალისტური ორგანო. ამ ზომებმა ის ნაყოფი გამოიღო, რომ სოციალ-დემოკრატიამ ორთავე ანარქისტის მოქმედება დაგმო და შეიმუშავა პრინციპი ბრძოლა არა ტერორისტულს ნიადაგზე, კანონის ფარგლებში მოქმედება. ამ კანონის ძალით, ერთის შეხედვით, თითქოს მთლად მიყუჩდა სოციალისტური მოძრაობა, მხოლოდ შემდეგ, 1881 წელს მუშებს ნებას აძლევენ პროფესიულ კავშირების მოსაწყობად და სოციალ-დემოკრატიაც მოიმაგრებს წელს. ამის მთავარი ინიციატორი იყო ახალი იმპერატორი, ვილჰელმ მეორე, რომელმაც ბოლო მოუღო ბისმარკის „ჰოჰენცოლერობას", (სწორედ ასე უწოდა ვილჰელმა ბისმარკის მოქმედებას, ვითომც შენ იმპერატორობ და არა იმპერატორიო). ერთად-ერთ დადებით მხარედ მუშათა წინაშე ბისმარკს სოციალურპოლიტიკის სფეროში მხოლოდ „მუშათა დაზღვევის" კანონს უთვლიდა იგი. მსოფლიო ისტორიაში, მართლაც, ეს პირველი სახელმწიფო დაწესებულება იყო, სადაც მუშები ბუზსავით მიეხვია, ასე რომ წლიურად 200 მილიონი მარკა მაინც შეჰქონდათ კასაში, ხოლო უკანასკნელ წლებში 500 მილიონსაც გადააჭარბა მან.

ვილჰელმ მეორე, როგორც ყოველ საკითხში, აქაც ფრიად ორიგინალურად მოიქცა და დიდი შორს მჭვრეტელობა გამოიჩინა მუშათა ცხოვრების გაუმჯობესობაში, მისი უზენაესი სურვილი იყო: არ გაეწვავებინა საქმე მთავრობისა და მუშების შორის. ამიტომაც მან წარმოადგინა საკუთარი სოციალური პროგრამა, რომლის ძალითაც მთავრობას ევალებოდა „გაუმჯობესობა სამუშაო დროსი და შრომის საშუალებისა, რათა უზრუნველყოფილიყო მუშათა ძალ-ღონე, ზნეობრივსა და მათი ეკონომიური მოთხოვნილების თანახმად". ამასთანავე უნდა ეზრუნათ მათს კანონიერ „გათანასწორების" მოთხოვნაზე. შემდეგ, რომ მუშებსა და დამქირავებელთა შორის უთანხმოება არ ყოფილიყო, საარჩევნო კანონები შეეცვლევინა ისე, რომ მუშებს საკმაოდ ჰყოლოდათ თავიანთი წარმომადგენლები თავიანთ ინტერესების დასაცველად. მალე გაძლიერებულ იქმნა თვით მუშათა დაცვის სისტემაც: 1891 წლის კანონით აღკრძალულ იქმნა მუშაობა კვირა დღით, ბავშვების ქარხნებში გაყვანა, ხოლო სამუშაო დროს მაქსიმუმს თორმეტი საათი შეადგენდა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა იმპერატორი დიდს თვითნებობას იჩენდა, დიდ ყურადღება მიაქცია შემოქმედებითს მუშაობას, თანხმობას: „მოსპეთ მიზეზები მუშათა უთანხმოებისა, დააკმაყოფილეთ მათი სამართლიანი მოთხოვნილებანი, მფარველობა გაუწიეთ, უუფლებოდ ნუ აყენებთ და ამდენ უჯიათობას ნუ აჲენებთ, რომ შებმულ ცხენესავით ზედ შუა გზაზედ არ დაგიცვიდნენო!" ახალგაზრდა იმპერატორის ბრძანების თანახმად, მართლაც, წლითი-წლობამდე მუშათა ცხოვრების გაუმჯობესობას დიდს ყურადღებას აქცევდენ და მრავალი კანონიც გამოიცა სოციალურ რეფორმების მოსახდენად.

De-Ka

(შემდეგი იქნება)

## საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო კრებაზე

20 მარიამობისთვეს სამეურნეო ბანკის საზ. დარბაზში შესდგა საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

კრებაზე უპირველეს ყოვლისა ე. ს. თაყაიშვილმა წაიკითხა მეტის-მეტად შინაარსიანი და საყურადღებო მოხსენება: „ლეჩხუმის ზოგიერთ ეკლესიათა შესახებ". მოხსენება შეადგენდა ნაწყვეტს იმ მოგზაურობის აღწერისას, რომელიც ბ. თაყაიშვილმა 1910 წ. ქ. ი. თუმანიშვილთან ერთად მოახდინა ამ კუთხეში. შემდეგ კრებას მოხსენდა საზოგადოების 1915 წლის მოქმედების ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს.

ა) საანგარიშო წლის დამდეგს საზოგადოებას ჰყავდა: 1 მზრუნველი, 4 საპატიო და 432 ნამდვილი, სულ 437 წევრი. წლის განმავლობაში დააკლდა 1 საპატიო და 2 ნამდვილი წევრი, ხოლო შეემატა 34 ნამდვილი წევრი. 1916 იანვრისათვის საზოგადოებას ჰყავს: 1 მზრუნველი, 3 საპატიო და 464 ნამდვილი, სულ 468 წევრი.

ბ) საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონდა 9 ჩვეულებრივი, 8 არაჩვეულებრივი და ერთი წლიური, სულ 18 კრება.

კრებაზე მოხსენებანი წაუკითხავთ: ს. რ. გორგაძეს, მ. გ. ჯანაშვილს, შ. ა. ქარუმიძეს და ი. ი. აბულაძეს. ამათ გარდა თავმჯდომარეს ე. ს. თაყაიშვილს ჰქონდა საზოგადო კრებებზე ორი ზეპირი მოხსენება:

გ) მსოფლიო ომით გამოწვეულის აშლილობისა გამო საანგარიშო წელს საზოგადოებამ ვერ შესძლო საარქეოლოგიო მოგზაურობათა მოხდენა ფართო მასშტაბით. საბჭოს მინდობილობით კახეთში იმოგზაურა საზოგადოების წევრმა ზაქ. ივ. ჩხიკვაძემ.

დ) საანგარიშო წელს საზოგადოებამ გამოსცა „ძველი საქართველოს" მესამე და მეოთხე ტომები. პირველში შეკრებილია არქეოლოგიური მასალანი და დიდძალი სახალხო სიტყვიერება, ხოლო მეორე გამოცემულია ალექსანდრე ივანეს ძის სარაჯიშვილის პატივსაცემად და სახსოვრად. ამ ტომში გარდა ალექსანდრეს ბიოგრაფიისა და სურათებისა მოთავსებულია, სხვათა შორის, განსვენებულის სამი სტატია.

ამას გარდა საანგარიშო წელს ი. აბულაძე განაგრძობდა „მეფეთა წიგნის" ბეჭდვას, რომელიც მიმდინარე წელს უნდა გამოვიდეს.

საანგარიშო წლის 9 ივნისს, განსვენებული მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადების დღეს, საზოგადოების მიერ გამართულ იქმნა თბილისში აკაკის სალამო, რომლის წმინდა შემოსავალი მიემატა აკაკის სახელობის საზეპირსიტყვაო ფონდს;

საანგარიშო წლამდე საზოგადოებას ჰქონდა გამოცემათა მხოლოდ ორი სერია: **„ძველი საქართველო"** და **„საქართველოს სიძველენი".** საანგარიშო წელს კი გადაწყდა დაარსდეს ორი სერია: **„ქართული ხალხური სიტყვიერება"** და **„ძველი ქართული მწერლობა".**

ცალკე მოსახსენებელია ჩვენი უკვდავი მგოსნის აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის საქმე, რომელიც მგოსნის ანდერძით ჩვენს საზოგადოებას აქვს დავალებული. ამ საქმის ჯეროვნად მოსაწყობად საბჭო შეუდგა აკაკის ავტოგრაფების შეგროვებას, დაბეჭდილ ნაწარმოებთა სრული სიის შედგენასა და თვით გამოცემის გეგმის შემუშავებას.

ა) საანგარიშო წლის დამდეგს მუზეუმში იყო: 1) საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი 1958, წლის განმავლობაში შემოვიდა 274, გახდა 2232; 2) ქსოვილები იყო 505, შემოვიდა 231, გახდა 528; 3) საისტორიო და საეთნოგრაფიო მხატვრობა იყო 585, შემოვიდა 15, გახდა 600; 4) საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ალბომი იყო 104, შემოვიდა 1, გახდა 105; 5) ძველი ფულები იყო 8863 ცალი (ამათში 2356 ცალი კირიონ ეპისკოპოსის შემოწირული), შემოვიდა 598, გახდა 9461 ც.; 6) მედალიონები და ჟეტონები წლის დამდეგს იყო 107 ცალი (ამათში კირიონ ეპისკოპოსის შემოწირული 75 ცალი), შემოვიდა 2, გახდა 109. ამ ფულებში ცალკე სია შედგენილი აქვს მხოლოდ კირიონის მიერ შემოწირულ რუსულ ფულებს (ს. გორგაძის შედგენილია), დანარჩენები მხოლოდ დათვლილია.

ამას გარდა მუზეუმში არის 59 ქანდაკება, რომლის უმეტესი ნაწილი საანგარიშო წელს შემოვიდა და ეკუთვნის ხოდოროვიჩის ხელსა.

წიგნთსაცავში—1) ქართული ხელნაწერი წიგნი 1189, შემოვიდა 7, გახდა 1196; 2) ქართული ნაბეჭდი წიგნი იყო 786 ცალი, შემოვიდა 111 ცალი, გახდა 897 ცალი; 3) არაქართული ნაბეჭდი წიგნი წლის დამდეგს იყო 6327 ცალი, შემოვიდა 244 ცალი, გახდა 6571 ცალი; 4) სიგელ-გუჯარი და სხვა დოკუმენტები იყო 6000 ცალი, შემოვიდა 2000 ცალი, გახდა 8000 ცალი.

I. კასაში 1916 წლის იანვრის 1-ლისთვის დარჩა 66 მ. 46 კ.

II. სახელდახელო ანგარიში 1916 წლის იანვრის 1-ლისთვის დარჩა 4278 მან. 40 კ.

III. % ქაღალდები 1915 წლის იანვრის 1-ელს იყო სულ 12401 მან. 30 კაპ.

წლის განმავლობაში მიემატა:

1) აკაკის სახელობის ხალხურ სიტყვიერების ფონდის ფულით შეძენილი 1915 წლის სახელმწიფო მოკლე ვადიანი სამხედრო სესხის 3500 მ. 5 ნახევარ პროცენტიანი ობლიგაციები 3325 მან.

1916 წ. იანვრის 1-ელისათვის დარჩა მისაღები წიგნები 2418 მ. 87 კ.

VIII. **წიგნები.** 1915 წლის იანვრის 1-ელისთვის იყო 2578 მ. წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 5035 მ. 45 კ.

IX. **აგენტები.** 1916 წ. იანვრის 1-ლისთვის დარჩა 103 მ. 33 კ.

X. **ინვენტარი.** 1916 წლის იანვრის 1-ლისათვის დარჩა 2991 მ. 83 კ.

XI. **უძრავი ქონება.** 1916 წ. იანვრის 1-ელისათვის დარჩა 24000 მან.

XII. **შემოსავალი** იყო 9349 მ. 94 კ.

XIII. **გასავალი** იყო 7402 მ. 65 კ.

XIV. **გარდამავალი ფული კრედიტით.** 1916 წლის იანვრის 1-ელისათვის დარჩა 453 მ. 43 კ.

XV. **კრედიტორები.** 1916 წლის იანვრის 1-ელისათვის 448 მ. 25 კ.

XVI. **ძირითადი თანხა.** 1916 წლის იანვრის 1-ელისათვის გახდა 15923 მ.

XVII. **საგანგებო თანხები.** 1915 წლის იანვრის 1-ელისათვის დარჩა 14490 მ. 84 კ.

XVIII. **ს. ხარჯთ თანხა.** 1916 წლის იანვრის 1-ელისათვის გახდა 36746 მ. 15 კ.

XIX. **ბალანსი უდრის** 75672 მ. 97 კ.

1916 წლის შემოსავლის სავარაუდო ანგარიში უდრის 12,939 მ. 29 კ., გასავალი იმდენივეს.

სარევიზიო კომისიის აქტმა დაადასტურა ანგარიშის სისწორე.

აკაკის საფლავის გასამაგრებლად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ეს ადგილი და თავისი მოხსენება წარმოუდგინოს საზ. გამგეობას. კომისიაში არჩეულ იქმნენ: თ-დი გრ. ნ. დიასამიძე, დეკანოზები: ნ. თალაკვაძე და ქ. ცინცაძე, ხუროთმოძღვარი სვ. კლდიაშვილი, ინჟინრები თ-დი ლ. ნ. დიასამიძე, ივ. ქურდიანი და ი. კალგინი და ბ-ნნი გ. ყიფშიძე, ს. მერკვილაძე და შ. ქარუმიძე. გამგეობის წევრებად ისევ ძველი შემადგენლობა არჩეულ იქმნა და ორი ახ ლი წევრი, სახელდობრ, გ. ქიქოძე და ი. გოგოლაშვილი. ამნაირად გამგეობის წევრებად არიან: თავმჯდომარე ე. ს. თაყაიშვილი, მისი ამხანაგი დ. გ. კარიჭაშვილი, მდივანი ს. რ. გორგაძე, ხაზინადარი ი. თ. სონღულაშვილი და წევრები: დეკ. კ. კეკელიძე, ი. ი. აბულაძე, გერონტი ქიქოძე, ი. გოგოლაშვილი და შ. ა. ქარუმიძე. კანდიდატებად გ. იმნაიშვილი, პ. ინგოროყვა და გ. ნათაძე. სარევიზიო კომისიაში: გრ. ყიფშიძე, თ-დი ივ. აფხაზი და კ. მაყაშვილი. დასასრულ, ახალ წევრთა მიღება მოხდა. კრება ღამის $11^1/_2$ საათ. დასრულდა. კრების შემდეგ ტრადიციული ვახშამი გაიმართა „ახალ კლუბის" დარბაზში.

## სოფლად

13. **გურჯაანი.** სოფელი გურჯაანი მდებარეობს სიღნაღის მაზრაში, ალაზნის ველზედ. მდ. ალაზნიდან მარჯვნივ დაშორებულია 8 ვერსით; გურჯაანიდან სიღნაღამდის 15 ვერსია, თელავი კი დაშორებულია 30 ვერსით და ორთავესთან რკინის გზით შეერთებულია.

გურჯაანი, მაღლობ—ურწყავ ადგილს არის გაშენებული, თუმცა ხევის წყალითაც რწყავენ, მაგრამ სამყოფი არ არის.

სოფელს საერთოდ ლამაზი შეხედულობა აქვს.

გურჯაანს უჭირავს ვენახის ადგილები—სიგრძე-სიგანე 4×5=20 კვ. ვერსი, თითქმის 2,100 დესეტინას აწევს.

ჩვეულებრივ ერთი დესეტინა ვენახი იძლევა 400 ვედრო ღვინოს, სამ მანეთობაზე რომ ვიანგარიშოთ, 1,200 მანეთი შედგება და ერთი დესეტინა ვენახის მოვლა-შემუშავება ჯდება არა ნაკლებ 500 მან., მაშასადამე, დესეტინა ვენახი იძლევა წმინდა შემოსავალს 700 მან.

რაციონალურად, ესე იგი, წესიერად ახალის საშუალებით ვენახს რომ უვლიდნენ, მაშინ დესეტინა მისცემს წმინდა შემოსავალს 1,000 მანეთამდის და ზოგჯერ 3,000 მანეთსაც.

გურჯაანში 1,000 კომლი ითვლება, ამაში 7 კომლი თავად-აზნაურია, 60 კომლი სომეხი რჯულით, მართალია ესენი ცდილობენ ქართველებთან იქონიონ კარგი განწყობილობა, მათი ქალები ცოლად მიჰყავთ, მაგრამ ამასთანავე თბილისის სომხებთან კავშირი აქვთ.

დანარჩენი ქართველი მესაკუთრე გლეხები არიან, ამათში 45 კომლი სახაზინო გლეხებად ითვლება და გადასახადს 450 მან. იხდიან.

გურჯაანლები შეძლებული ხალხი უნდა იყვნენ.

არიან კიდეც.

ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, სოფ. გურჯაანის ვენახები 2 ათასი დეს. და წმინდა შემოსავალი 500 მანეთი, მაშინ ყოველწლივ ასი ათას მანეთის ღვინო შეუძლიან გაყიდონ, ესე იგი, თითო კომლს მოსდის წლიური შემოსავალი ათასი მანეთი.

არიან ისეთებიც, რომლებიც 20,000—40,000 მანეთის ღვინოს ჰყიდიან ცხლანდელ ფასოფაზე.

აქაური სომხები შეძლებულნი არიან, მათ შორის აჯი-მამულოვის შეძლება ნახევარ მილიონს გადააჭარბებს, ვენახი 30 დეს. აქვს და შარშანდელი ღვინო ექნება გასაყიდი 40,000 მანეთისა.

ქართველ გლეხებშიაც ამისთანა შეძლებულნიც მოიპოვებიან.

რაც შეეხება ხვნა-თესვას ან სხვა რამ დარგს, არა ითქმის რა, აქ მხოლოდ უმთავრესი სახსარი ცხოვრებისა მევენახეობა არის.

—

გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობას 1,500-ზედ მეტი წევრი ჰყავს, ფულის ტრიალი ნახევარ მილიონს აღემატება.

ფულის შემნახველი იღებს ერთის წლით 8%, ნახევარი წლით 6%, უვადო კი 4%.

ამ საკრედიტო ამხანაგობის გამგენი—საბჭოს თავმჯდომარე და გამგეობის თავმჯდომარე აქაური ღვდლები არიან. ესენი ღვდელ-მსახურებისთვის იმდენს ვეღარ ცდილობენ, რომ ბევრჯელ მკვდარი საწირავისთვის საკრედიტო საოპერაციო დარბაზში უკურთხებიათ. ისიც შეიძლება, რომ ეს ღვდლები საკრედიტო ამხანაგობის საქმეების არ მოცლნენ, ხან და ხან ბავშვის მონათვლაც არა უჭირს რა საკრედიტო შენობაში.

—

28 მარიამობისთვეს გურჯაანში შედგა კოოპერატიული ამხანაგობა, სავაჭრო დუქანი „მომავალი“ აკურთხეს, ამ დღეს მიწვეულნი იყვნენ ყველანი, მაგრამ ცოტა ხალხი დაესწრო.

ამავე დღეს მედუქნე არაქელოვმა, რომელსაც თავისი დუქანი კოოპერატიულ ამხანაგობის ახლო ჰქონდა, მიჰკეტა და მთელი საქონელი ამხანაგობას მიჰყიდა.

ამ კოოპერატიული ამხანაგობის მოთავე და დამაარსებელი არის თ-დი ივანე ოსების ძე ვაჩნაძე, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებს ყოველ საქმეში.

—

აგრეთვე აღსანიშნავია კერძო სავაჭრო ამხანაგობა თ-დ კ. აბაშიძის მარანი, რომელიც მისი ფირმა დამტკიცებულია და სახელად ეწოდება „Кахетинскій розливъ“

ახალი საქმეა, მას აქვს აზრად გურჯაანის ღვინის ღირსება ამცნოს ფართო საზოგადოებას და ბაზარი მოუპოვოს რუსეთში.

დავაჭაშნიკე მისი ღვინო და მეტადრე მისი თეთრი ღვინო საუკეთესო ღირსებისა არის. თ-დ კოლა აბაშიძის ვაჭრობა არ მიაგავს ზემო ქართლის თავად-აზნაურის ჩარჩულ ვაჭრობას, იგი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში მიაწოდოს საზოგადოებას საუკეთესო ღირსების ღვინო.

—

აქ არსებობს სამამასახლისო, საბოქაულო და I რაიონის მომრიგებელ შუამავლის კანცელარიები.

სამი ეკლესია—სამის მღვდლით.

სამინისტრო და სამრევლო სკოლები.

—

გურჯაანის I რაიონის სოფლის მოხელეების ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც გურჯაანის მამასახლისმა მაჩვენა, შემდეგში გამოიხატება:

ხარჯის გამღებნი ყოფილან 547 კომლი და საერთო ჯამი მოხელეების ხარჯისა უდრის 7870 მან., რომელიც შემდეგის სახით იხარჯება თანახმად გუბერნიის საკრებულოს გადაწყვეტილებისა: მამასახლისს—800 მან., მწერალს—600 მან., თანაშემწეს—300 მან., 1/20 შენობის ფონდისა—200 მან., კანცელარიის ხარჯი 120 მან., გათბობა, განათება—140 მან. და სხვა ხარჯი 1440 მან. და ამ ხარჯებს კიდევ ემატება მამასახლისის ჩვენებით: მოსამსახურეს—160 მან., ცხენების შენახვა—160 მან., შეშისა—300 მან. და 3 ჩაფარს—360 მან.

მაშასადამე, მთელი ხარჯი სოფლის მოხელეებისა მოდის 4580 მან., გასავალი კი 7870 მან., დანარჩენი 3290 მან., სად მიდის ვერ მაჩვენა, აქ რაღაც გაუგებრობაა. შევატყე, რომ მწერალი და მამასახლისი ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში აირივნენ, არც მე გამოვეკიდე, მე ხომ კანტროლი არა ვარ და რა უფლებით უნდა მომეთხოვნა, შეიძლება ვცდებოდე მე, მხოლოდ ფაქტებს ვამჟღავნებ.

მაგრამ გასაკვირველი ის არის, ს. გურჯაანს, რომელსაც საკმაო ინტელიგენცია მოეპოვება, მომრიგებელ-შუამავლი გვერდზე ჰყავს, მღვდლები რომ საკრედიტო ამხანაგობის ანგარიშში ისე ჩაფლულნი არ იყვნენ (ან მათ რა მოეთხოვება, საეკლესიო საქმეებს ვეღარ სწვდებიან) და ოცის თავები, რომ ღვინის სმაში გავარჯიშებულნი არ იყვნენ (გურჯაანის ღვინოს ვინღა დალევდა), მაშინ ეს სოფლის მოხელეების ხარჯი ნათლათ იქნებოდა დაყენებული და ყველას შეეძლო სწორე შეხედულება გამოეტანა ერთის თვალის გადავლებით.

როდემდის, როდემდის ესეთი დაუდევრობა სოფლელებისა?!...

კოოპერატიული ამხანაგობანი, საკრედიტო დაწესებულებანი და სხ. ხალხის ყურადღებას იქცევს და სოფლის მოხელეების ხარჯთ-აღრიცხვას კი ყურადღებას არავინ აქცევს.

რატომ?

პირველი ხალხს ეკუთვნის და კიდევაც ჰპატრონობს, და სოფლის მოხელეების ხარჯთ-აღრიცხვა კი, მართლა, ხალხს ეკუთვნის, მაგრამ პოლიცია დაპატრონებია.

—

სამინისტრო სკოლაში სწავლობენ 216 ქალი და ვაჟი, IV განყოფილებიანია, სამი მასწავლებელი ჰყავს.

სამრევლო სკოლაში კი 50 ქალი სწავლობს, სამი—განყოფილება არის და ერთი მასწავლებელი ჰყავს.

მსურველი ბევრია სწავლისა, დიდი ცილაობა არის მიღებაზე, მაგრამ უადგილობისა გამო სკოლის გარეთ ერთი სამად მეტი რჩება.

ეს ხდება იმ სოფელში, რომელსაც არა ნაკლებ 1,000,000 მანეთის წმინდა შემოსავალი აქვს!

უსწავლელნი რჩებიან იმ სოფელში, სადაც საკრედიტო ამხანაგობის ფულის ტრიალი მილიონს აღარა აკლია რა!

გურჯაანელების პატარა ბავშვები სკოლის გარეშე რჩებიან, როდესაც მათ მშობლებს ერთ ჯიბეს შემოჰკრავ და მეორე ჯიბეში ფულის ჩხრიალი გაისმის და ის კი ვერ მოუხერხებიათ, საკუთარი სასწავლებელი დაიარსონ.

ს. გურჯაანს ეკუთვნის სამეურნეო სასწავლებელი გახსნას.

შეუძლიან კიდეც.

და დროს დახანება აღარ ესაჭიროება.

გურჯაანის ეკლესიების შესახებ ვერას ვიტყვი, ვერ დავათვალიერე, რადგან მღვდლები საკრედიტო ამხანაგობაში მსახურებენ.

მამის სული გაეშვათ, პაპის სულსა ფიცულობდნენ.

—

სოფ. გურჯაანის ცხოვრებას ჯამი გამოიხატება გონება-განვითარების მხრივ შემდეგში: ბიბლიოთეკა არსებობს, ამასთანავე გამოუწერა ბიბლიოტეკას გამგემ ბ-ნმა იაშვილმა ამ წლის იანვრიდან სახალხო ფურცელი, აზრი და საქართველო, ფული წარუდგენია რედაქციებში, სახალხო ფურცელს და აზრს არ უგზავნიან, რამდენჯერმე წერილით უცნობებია და არავითარი პასუხი არ მიუღია, ბიბლიოთეკის გამგემაც მათ რედაქციებს ხელი ჩაუქნია.

გურჯაანის ფოსტაში მიდის და აგრეთვე მის რაიონში: საქართველო, სახალხო ფურცელი—25 ცალი თითო.—აზრი—15 ც., Закав. рѣчь 7 ც. და ხუთ ხუთი ცალი მიდის:—თეატრი და ცხოვრება, Нива, Пробужденіе და Кав. сл.; 8 ცალი Рус. сл. და Тиф. Лис.; სამ სამი ცალი—ნაკადული, сел. хоз. жур. და Рус. Вѣд. ჯეჯილი—2 ც., Кав.—10 ც. და თითო ცალი მიდის: Огонекъ და Солнце.

ამასთანავე სადგ. გურჯაანზედ იყიდება ხელ და ხელ საქართველო, სახალხო ფურცელი და აზრი, საქართველო აღარ რჩება, და დანარჩენი სახალხო და აზრი სოფელში იყიდება.

—

**ახტალის ტალახი.** გურჯაანზედ აკრავს ყველასათვის ცნობილი სამკურნალო ახტალის ტალახი, სადაც ქარებიანი ავადმყოფნი იკურნებიან.

ჩავარდნილი კალოსავით ადგილია, ნაცრისფერი ტალახია შედედებული და ალაგ-ალაგ ბუყ-ბუყებს.

ირგვლივ თ-დ აზნ. და გლეხების ადგილებია, მხოლოდ ერთ ადგილას აჯიმამულოვს უჭირავს 1 დეს., უყიდნია 1,000 მან. ეხლა ღირს 20,000 მან.

ახტალის ტალახი ეკუთვნით ანდრონიკაშვილებს, აფხაზს, აბაშიძეს, ვახვახიშვილებს და სხვ., მთლათ მონაწილენი ითვლება 57.

თავის დროზედ ახტალის ტალახი შესანიშნავ საკურორტო ადგილად გადაიქცევა, ჯერ კი მოუწესრიგებელია, რადგან მონაწილეებს შორის უთანხმოებაა:—არა, მე აქ მინდა, არა მე შავში მინდა და სხვ. აი, ამისთანა აზრები ებადებათ ახტალის ტალახის მონაწილეებს.

ამ ზაფხულს ერთმა მონაწილეთაგანმა უმგზავსი საქციელი ჩაიდინა: როდესაც ავადმყოფები ბანაობდნენ, ეს ვაჟ-ბატონი გაუჩნდება ამ მობანავეებს მათრახით ხელში და იარალით ამოჰყრის ყველას და ზეზეულა შიშველ-ტიტველას დააყენებს და უკივის: ვინ მოგცათ აქ ნება ბანაობისა, ეს სულ ჩემიაო!

მანამდის გამგე ამ ახტალის ტალახისა ბ-ნი სარაჯიშვილი არ ჩამოეშველა მობანავეებს, ასე შიშველ-ტიტველნი ეყენა იმ თავხედ მონაწილეს.

Legatus.

# სამეგრელო და მისი განცდის ხანა

დღევანდელს პირობებში უკანასკნელს გაჭირვების ხანას განიცდის სამეგრელოს ისედაც გაძვალ-ტყავებული ხალხი. ორი წლის ზედი-ზედ ჭირნახულის მოუსავლობას მსოფლიო ომიანობაც ზედ დაერთო და შემოდგომის სეზონის ნიაღვარი წვიმები დაიწყო, ძალიან ძნელია ჭირნახულის მოკრეფა, ყოველგან მუშა ხელის ნაკლულობაა. ვისაც მუშაობის უნარი შესწევდა, ბრძოლის ველზე იმყოფებიან და დარჩენილი მცირედი ნაწილი, ზოგი გაიყვანეს და ზოგი ახლა გაჰყავთ; მოსავლის ამოღება მეტ ნაწილად ქალებს აწევებთ მძიმე ტვირთად და რამდენად მეგრელთ ქალები ამას შეიძლებენ, წვიმებიან ამინდებში, ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია...

თითქოს განგებამ ჩამოთვლილი უბედურება აღარ აკმარა სამეგრელოს, მას ზედ დაერთო ცარცვა და ქურდობა, მთელს სამეგრელოში არა სასიამოვნო ამბები ხდება. ოჯახები მეტ ნაწილად უმეო—სუსტი ქალების ამარათ დატოვებული, ხელ-საყრელ ასპარეზს წარმოადგენს თავ-აღებულ სოფლის ნაძირალებისათვის, რომელნიც არაფერს არ ერიდებიან, გულის შემზარავ ამბებს სჩადიან, გულგრილად ცქერა პატიოსან ადამიანს არ ძალუძს.

მათ ასალაგმავად ადმინისტრაციაც არაფერს ღონობს; თუ ოდესმე ინებებს საქმეში გარევას, მაშინაც უშედეგოდ, ნამდვილ დამნაშავეებს გვერდს უვლიან და არა დამნაშავეებს ავიწროებენ—„მოგვეცით დამნაშავე პირებიო“. ასე რიგად ხალხი ორნაირი რეპრესიების შუა არის მომწყვდეული.

არა სასიამოვნო ამბები თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად გარდიქცა, მაგრამ ხალხი ისე არსად არ არის დატანჯული, როგორც რედუტკალის და ძველსენაკის საბოქაულოებში. ეს საბოქაულონი ყოველი ჯურის ბოროტ-მოქმედების ბუდედ გამხდარა. მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა, ქალთა მოტაცება და სურვილის წინააღმდეგ ძალად არა სასურველ პირზედ ჯვარის დაწერა და საერთოდ ქალებზედ ძალმომრეობა, აი რა ჰხდება! თუ ვინმემ მათს საწინააღმდეგოდ ხმა აღიმაღლა, მაშინ ის არ ასცდება ძალად-მაცხონე ვაჟბატონების წყრომას, და მათგან ცალ ულვაშის გადაპარსვას, სახლ-კარის გადაწვას და ბოლოს თვით სიკვდილსაც. ეს სიტყვები სწორეთ ბ. მაღლაკელიძეზედ არის ზედ გამოჭრილი...

რედუთ-ყალის ბოქაულად თელავიდან ახლად გადმოყვანილი ბატონი ახვლედიანი დღეს თუ ხვალ უნდა შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას; ვნახოთ რა უნარს გამოიჩენს.

საერთოდ საჭიროა დატუქსვა აღვირაშვებულ საერებო დარაჯებისა, ვისგანაც ჯერ არს, რომ უფრო ღმობიერად და ზრდილობიანად ეპყრობოდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და მასთან ღამ-ღამობით გამოდიოდნენ სავარჯიშოდ და არა ცხრა კლიტულში სძინავდეთ. ხალხი და პოლიციის მოხელენი დღევანდელ პირობებში ერთმანეთს უნდა დაუახლოვდნენ. ურთიერთის შეთანხმებით უნდა იმოქმედონ. მაშინ მოეღება ბოლო ყოველნაირ ავ-კაცობას.

ამ მხრით კი ვგონებ უნდა ჰქონდეს ლტოლვილობა ხალხის დაახლოვებისა სენაკის მაზრის უფროსს ბ. ლევაშოვს, რომელმაც სათანადო განცხადებები გააკრა თავის კანცელარიას, რომ მისი კანცელარიისა თუ სადგომ ბინის კარები ღია არის დროს განურჩევლად ხალხის ჭირ-ვარამის მოსასმენად. მაგრამ ეს სიმპატიური განცხადება ქაღალდზედ რჩება ან კი როგორ არ დარჩება მისი ქვეშევრდომ მოხელეების შიშით. კარგს ინებებდა მაზრის უფროსი, რომ ადგილობრივად მოისმენდეს ხალხის ჭირ-ვარამს. ამით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ქაღალდზედ დაწერილ განცხადებით.

მოკეთე.

# თეატრი

**ხაშური.** ხუთშაბათს, 8 ენკენისთვეს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილის და ბ-ნ შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ისტორიული დრამა „სამშობლო“—ერისთავისა. თეატრის შენობას ხალხი ბლომად მოაწყდა. დარბაზში არა თუ ცარიელი სკამი, ფეხზე დასადგომი ადგილიც არსად იყო. კარგად თამაშობდნენ: ქ-ნი ე. ანდრონიკაშვილი—(ქეთევანს), შ. დადიანი—(ს. ლეონიძეს), კარგი იყო ბ. ძნელაძე, ახალგაზდა სცენის მოყვარე—ლევან ხიმშიაშვილის როლში, არა უშავდარა ქ-ნ კალაძეს (შახის ქალიშვილი) და ბ-ნს ქუთათელაძეს—(შახი). საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა.

წარმოდგენაზე ხალხი წეს-რიგს ნაკლებად იცავდა.

სტუმარი.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ მისცეთ ალაგი თქვენ პატივ ცემულ გაზეთ „საქართველო“-ში ამ ჩემ მცირე წერილს პასუხად ბ. ავტოკეფალისტს.

გორდის საბლაღოჩინო სამღვდელოება უზომოთ აღშფოთებულია ბ. ძველი ავტოკეფალისტის იმ სიცრუით გაჟღენთილ წერილის შინაარსით, რომლითაც მან გაილაშქრა ყ-დ სამღვდელო ლეონიდეს წინააღმდეგ. სრულიად გურია-სამეგრელოს სამღვდელოება დარწმუნებულია იმაში, რომ ყ-დ სამღვდელო ლეონიდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხში მიუძღვის დიდი ამაგი თანაბრად ყ-დ სამღვდელო კირიონისა.

„მშიშრობას, გაიძვერობას და ენას მუცელში ჩავარდნას“ ყ-დ სამღვდელო ლეონიდესთან, როგორც მან დაამტკიცა არა ერთ ჩვენ ეპარქიალურ სამღვდელოების კრებებზედ, ადგილი არ ქონებია და არც შემდეგში ექნება. ტყუილად ცდილობს ბ. „ძველი ავტოკეფალისტი“ ეჭვი შეიტანოს ჩვენმა სამღვდელოებამ და ქართველმა ერმა ყ-დ სამღვდელო ლეონიდზე ქართულ ეკკლესიის სამსახურში დარწმუნებული ვართ, რომ ყ-დ სამღვდელო ლეონიდე ნამდვილი ერთგული შვილია საქართველოსი და მუდამ საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიის საკითხი შეადგენს მისს სულის კვეთებას.

ამისთვის გორდის სამღვდელოება ზიზღს და გმობას უცხადებს ბ. „ძველ ავტოკეფალისტს“ იმ წერილისათვის, რომლითაც მან შეურაცყო ღირსეული მამულიშვილის ყ-დ სამღვდელო ლეონიდეს პიროვნება.

გორდის სამღვდელოების მონდობილობით ბლ. მღ. რაჟდენ ჭალაგანიძე.

## შეცდომის გასწორება

„საქართველო“-ს მე-208 ნომერში სიტყვები „შეიძლება არც მოხდეს“ უნდა შესწორდეს ასე შეიძლება ესეც მოხდეს.

გუშინდელ ნომერში შეცდომით სწერია: ცხოველი და უცხოველო. უნდა იყოს: ცხოვლი და უცხოვლო ან ცხოვრი და უცხოვრი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი


# ამიერ-კავკასიის რკ. გზის
## მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 7 | „ 58 | „ დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 7 | „ 58 | „ საღ. |



# სუსუნატი

ვისაც სურს ... მოდ განიკურნოს ... გან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, ცხინვალის ქუჩა № 12 ოთხ. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მექავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—



სავაჭრო-სამრეწველოს სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

# კულინარული (მზვარეულობის) სკოლა
# ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.

(10—338—3)



ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის
წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

—სუნი და გემოც საამური აქვს—

წლ.



ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა დ წიგ. მაღაზია

# „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ოჩის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартк иладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.



# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები

ჭუშქანის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ძ. ძეძველოვ-ზედი, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ზიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „პერიზინო“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.